საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/29

ქ. ბათუმი **25 მაისი, 2022 წელი**

ბსუ-ს სტუდენტებისათვის ქსეროქსის აპარატით ასლის გადაღების ტარიფის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 25 მაისის სხდომის №07-02-01 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ბსუ-ში ქსეროქსის აპარატით ასლის გადაღების ტარიფი დღგ-ს ჩათვლით განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
   ა) 1 ფურცელი A4 (1 გვერდი) – 10 თეთრი;
   ბ) 1 ფურცელი A4 (2 გვერდი) – 15 თეთრი;
   გ) 1 ფურცელი A3 (1 გვერდი) – 30 თეთრი;
   დ) 1 ფურცელი A3 (2 გვერდი) – 45 თეთრი.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დავით ბარათაშვილი**